
„ჯეპლაკის“ საქმიანობა

მენარმეთა შესახებ კანონის რეფორმა

ნინო ჩოხელი*
ავთანდილ სვანიძე**
შალვა კაკუაშვილი***

1. შესავალი

მენარმეთა შესახებ კანონმა, რომელიც 1994 წელს იქნა მიღებული, უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული სამენარმეო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ამ კანონის საფუძველზე განხორციელდა პრივატიზების პროცესი, დაფუძნდა მრავალი კერძო კომპანია და, ზოგადად, ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.

ახლა, როდესაც კანონის მიღებიდან ათ წელზე მეტია გასული, მისი გამოყენების პრაქტიკამ კანონის მრავალი ხარვეზი გამოავლინა. აშკარა გახდა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონში ან სრულებით არ არის დარეგულირებული, ან იმდენად ბუნდოვნად და ზოგადად არის ჩამოყალიბებული, რომ პრაქტიკაში სანარმოებს ხშირად პრობლემები ექმნებათ მათი გამოყენებისას. ყოველივე ამას თან დაერთო საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის ახალ ფაზაში შესვლა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავებაზე. „ჯეპლაკმა“, როგორც მთავრობის კონსულტანტმა ეროვნული პროგრამის შემუშავების საქმეში, განახორციელა საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის სტანდარტებთან შედარებითი ანალიზი, რომელმაც სხვა სფეროებთან ერთად სამენარმეო სამართლის სფეროც მოიცვა. შედეგად, გამოვლინდა უამრავი შეუსაბამობა და ხარვეზი, რაც შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობას განაპირობებდა.

ზემოაღნიშნულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა მენარმეთა შესახებ კანონის საფუძვლიანი გადასინჯვის აუცილებლობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გააერთიანა თავად სამინისტროს, „ჯეპლაკის“, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და კერძო სექტორის (საქართველოს ბიზნესის ფედერაცია) წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის ამოცანად მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მისი ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება განისაზღვრა.

სამუშაო ჯგუფი პროექტზე მუშაობისას ეყრდნობოდა საკორპორაციო სამართლის სფეროში არსებულ ევროპულ დირექტივებს, ევროპული კავშირის წევრი ქვეყნებისა და აშშ-ის

* „ჯეპლაკის“ ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

** საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის იურიდიული კონსულტანტი.

*** გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების პროექტის – „საქართველოს სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“ – კოორდინატორი.

გამოცდილებას. დღეისათვის უკვე მომზადებულია კანონის ზოგადი ნაწილის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი. ქვევით ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ კანონპროექტს და შევეცდებით, მკითხველს ნათელი წარმოდგენა შევუქმნათ მისი ძირითადი სიახლეების შესახებ.

2. წინარე საზოგადოება

კანონპროექტის მნიშვნელოვანი სიახლეა მუხლი წინარე საზოგადოების შესახებ, რომლის მიზანია საზოგადოების წესდების ხელმოწერიდან მის სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე წარმოშობილი ურთიერთობების მონესრიგება.¹ სამართლებრივ პრაქტიკაში პრობლემატური იყო საკითხი, თუ რა წარმონაქმნთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც საზოგადოების წესდება სანოტარო წესით დამონმებულია, მაგრამ თავად საზოგადოება ჯერ რეგისტრირებული არ არის სამენარმეო რეესტრში. ამასთან, საზოგადოების რეგისტრაციისათვის აუცილებელია, მან დადოს მის დაფუძნებასთან უშუალო კავშირში მყოფი გარიგებები (მაგ., პარტნიორთა შესატანების მიღება). კანონპროექტს სიცხადე შეაქვს ამ საკითხში და დეტალურად ახასიათებს საზოგადოების სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე არსებული წარმონაქმნის სამართლებრივ ბუნებას.

წინარე საზოგადოებას წესდების სანოტარო წესით დამონმების მომენტიდან უფლება აქვს, გამოიყენოს საფირმო სახელწოდება, თუმცა, ცხადი რომ იყოს, თუ რა ტიპის წარმონაქმნთან აქვთ საქმე სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს, საზოგადოება ვალდებულია, საფირმო სახელწოდებას დაურთოს დანამატი „დაფუძნების პროცესში“.

კანონპროექტი ასევე ადგენს იმ ფარგლებს, რომელშიც საზოგადოება დამოუკიდებელი უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობს. თუმცა მთავარი წინაპირობაა, რომ ის ურთიერთობები, რომელშიც საზოგადოება შედის, მის მიზანს, ანუ საზოგადოების დაფუძნებას, უნდა ემსახურებოდეს. კანონპროექტს მოჰყავს ამ ტიპის ურთიერთობათა რამდენიმე მაგალითი, რომლებიც, ამავე დროს, ამომწურავი არ არის. კერძოდ, წინარე საზოგადოებას უფლება აქვს, საკუთარი სახელით გახსნას საბანკო და ფასიანი ქაღალდების ანგარიში, შეყვანილ იქნეს როგორც მესაკუთრე საჯარო და ფასიანი ქაღალდების რეესტრში, იყოს პროცესის მხარე.

წინარე საზოგადოების პარტნიორთა შიდა ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კანონპროექტი სამ წყაროს გვთავაზობს: უპირველეს ყოვლისა, ეს არის თვით საზოგადოების წესდება, როგორც საზოგადოების ძირითადი დოკუმენტი; ამავე დროს, პროექტის მიხედვით, შიდა ურთიერთობაზე ვრცელდება მენარმეთა შესახებ კანონის ის დებულებები, რომელთა წინაპირობაც არის საზოგადოების რეგისტრაცია; შიდა ურთიერთობების მონესრიგების მესამე წყაროა სამოქალაქო კოდექსის დებულებები ერთობლივი საქმიანობის შესახებ.

კანონპროექტით ასევე მონესრიგებულია საზოგადოების სახელით შეძენილი უფლებებისა და აღებული ვალდებულებების გადანაწილება. კერძოდ, უფლებები საზოგადოების პარტნიორთათვის საერთოა, მიუხედავად საზოგადოებაში მათი წილობრივი ვალდებულებებისა. ასევე არის გადანაწილებული საზოგადოების სახელით ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც ყველა პარტნიორი, ისევე, როგორც ვალდებულების ამღები პირი, პერსონალურად და სოლიდარულად აგებს პასუხს კრედიტორთა წინაშე.

¹ თავად წინარე საზოგადოების ინსტიტუტი არ არის სიახლე კომერციულ და არაკომერციულ საზოგადოებათა სამართალში. ტრადიციული კოდიფიკაციების ქვეყნებში (მაგ., გერმანია) ეს ინსტიტუტი ძირითადად სასამართლო პრაქტიკის მიერ იქნა აღიარებული და განვითარებული, თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში კი ის უკვე კანონმდებლობაში აისახა დეტალურად (მაგ., მაკედონია).

მნიშვნელოვანი სიახლეა დებულება საზოგადოების რეგისტრაციამდე წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების სამართალმემკვიდრეობის შესახებ. კანონპროექტის მიხედვით, საზოგადოების სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციით წინარე საზოგადოება წყვეტს არსებობას, ხოლო ყველა მისი უფლება და ვალდებულება ავტომატურად გადაეცემა რეგისტრირებულ საზოგადოებას. ეს დებულება ძირეულად განსხვავდება მოქმედი კანონის მიდგომისგან, რომლის მიხედვითაც, პარტნიორთა პერსონალური და სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

3. არაფულადი შესატანი სანესდებო კაპიტალში

გარკვეული ცვლილებები შეეხო შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებებში არაფულადი შესატანის მექანიზმს, რაც, ადრე დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებას მოითხოვს. საბჭოს მეორე დირექტივის² ფორმულირებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა დებულება, რომლის თანახმად: „არაფულადი შესატანი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ობიექტი, რომლის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრაც შესაძლებელია. შესატანი არ შეიძლება იყოს სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განწევა“.

დირექტივის შესაბამისი დებულების მიზანია კაპიტალის შენარჩუნების მეშვეობით აქციონერთა და კრედიტორთა დაცვა – ამ უკანასკნელებმა, ერთი მხრივ, უნდა იცოდნენ, რა გადაეცემა საზოგადოებას აქციითა სანაცვლოდ, მეორე მხრივ კი, დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ გადაცემულ ქონებას რეალური ღირებულება აქვს. სწორედ შეფასების სირთულისა და არასაიმედოობის გამო არის აკრძალული წილების ან აქციის სანაცვლოდ სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განწევა.

არაფულადი შესატანის გარშემო კიდევ ერთი შეზღუდვა მისი განხორციელების ვადას უკავშირდება: „შესატანი უნდა შესრულდეს ისეთი ობიექტით, რომელიც საზოგადოებას გადაეცემა მისი დაფუძნებიდან, ან სანესდებო კაპიტალის გაზრდის რეგისტრირებიდან ერთი წლის ვადაში“; მეორე დირექტივა არაფულადი შესატანის გადაცემისთვის მაქსიმალურ ვადად 5 წელს ადგენს,³ თუმცა გაუგებრობებისა და ქონების გაუფასურების თავიდან ასაცილებლად კონტინენტური ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონი ამისთვის უფრო მცირე ვადას აწესებს, რაც ჩვენც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. როგორც წესი, გადაცემის გაჭიანურება იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც არაფულად შესატანს სხვა სანარმო წარმოადგენს.

ასევე, მეორე დირექტივის შესაბამისად, უფრო დეტალურად დადგინდა, თუ რას უნდა შეიცავდეს არაფულადი შესატანის შეფასების ანგარიში, ესენია:

- იმ წილთა (აქციითა) ნომინალური ღირებულება, რომლებიც გაიცემა არაფულადი შესატანის სანაცვლოდ;
- თუ წილები (აქციები) გაიცა ნომინალურზე მეტი ღირებულებით, ნამატი თანხის ოდენობა;

² ევროპული გაერთიანების საბჭოს მეორე დირექტივა 77/91/EEC წევრებისა და სხვათა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კოორდინირების შესახებ, რომელთა განხორციელება მოეთხოვებათ კომპანიებს წევრი ქვეყნის მიერ ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 58-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის სანარმოებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან და მათი კაპიტალის შენარჩუნებასა და შეცვლასთან მიმართებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული უსაფრთხოების ზომების ეკვივალენტურობა გაერთიანების მთელ ფარგლებში, მე-7 მუხლი.

³ მეორე დირექტივის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

– არაფულადი შესატანის თითოეული ობიექტისა და შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდის აღწერა და შეფასების თარიღი;

– განცხადება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება არაფულადი შესატანის ღირებულება მის სანაცვლოდ გაცემული წილების (აქციების) ღირებულებას.

წესდებაში მითითებული უნდა იყოს: იმ წილთა (აქციათა) ნომინალური ღირებულება, რომლებიც გაიცემა არაფულადი შესატანის სანაცვლოდ, არაფულადი შესატანის საგანი და შემომტანის მონაცემები. თუ ეს ინფორმაცია წესდებაში არ მოიპოვება, ასეთ შესატანთან დაკავშირებით დადებული გარიგებები ბათილად ჩაითვლება. აღნიშნულ შემთხვევაში, ასევე მაშინ, როდესაც დარღვეულია სხვა მოთხოვნები არაფულადი შესატანის შეტანის თაობაზე, პარტნიორი ვალდებულია, არაფულადი შესატანის სანაცვლოდ მიღებული წილების (აქციების) ღირებულება შეიტანოს ფულადი სახით.

შედეგად შეიძლება დრაკონული კანონი მიგველო, რომელიც პარტნიორს, რომელმაც გარკვეული ღირებულების ქონება უკვე შეიტანა კაპიტალში, თუნდაც მცირე პროცენტული დარღვევისთვის, დაავალდებულებდა შესატანის ხელმეორედ, ფულადი სახით, შეტანას. ამის თავიდან ასაცილებლად დავესესხეთ ინგლისის კანონმდებლობაში არსებულ მექანიზმს:⁴ სასამართლოს შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს პარტნიორი წილთა (აქციათა) ღირებულების ფულადი სახით ანაზღაურებისგან, თუ ის დაამტკიცებს, რომ წილთა (აქციათა) სანაცვლოდ საზოგადოებამ მიიღო შესაბამისი ეკონომიკური ღირებულების მქონე ქონება.

კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი მუხლის დამატებას დამფუძნებელ პარტნიორებთან ხელშეკრულებების თაობაზე, რომელიც ეყრდნობა მეორე დირექტივას.⁵ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სამენარმეო რეესტრში სააქციო საზოგადოების რეგისტრირებიდან ორი წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოება დამფუძნებელი პარტნიორისაგან იძენს ქონებას, რომლის ღირებულება შეადგენს საწესდებო კაპიტალის 10 ან მეტ პროცენტს, უნდა დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ და დარეგისტრირდეს სამენარმეო რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ბათილი იქნება.

წინამდებარე დებულება ევროპაში არაფულადი შესატანის დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასების თავიდან აცილების თაღლითური მექანიზმების აღმოფხვრას ემსახურება. საქმე ის არის, რომ, ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, დამფუძნებელ პარტნიორებს საწესდებო კაპიტალში შესატანი ფულადი სახით შეჰქონდათ, მაგრამ დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში კომპანია მათგან გადაამეტებულ ფასად ყიდულობდა ქონებას, რის გამოც გვერდს უვლიდნენ არაფულადი შესატანის დამოუკიდებელი შეფასების მოთხოვნას.

4. გაცხადება რეგისტრაციის ეტაპზე

ცვლილებები შეეხო აგრეთვე იურიდიულ პირებზე დაკისრებულ ე.წ. გაცხადების (*disclosure*) ვალდებულებას. გაცხადება, ანუ საზოგადოების მმართველობასთან, კაპიტალთან, ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა, ის საფასურია, რასაც საზოგადოებაში გაერთიანებული პირები გაიღებენ განცალკევებული კორპორაციული სამართალსუბიექტობისა და შეზუდული პასუხის-მგებლობის მოსაპოვებლად. ვინაიდან გაცხადების ინსტიტუტი მესამე პირთა და კრედიტორთა

⁴ 1985 წლის კანონი კომპანიათა შესახებ, 113-ე მუხლი.

⁵ მეორე დირექტივის მე-11 მუხლი.

ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმია, ჩვენ შევეცადეთ, პროექტში მაქსიმალურად აგვესახა ის დებულებები, რომლებიც ევროპული სამართლის ამ სფეროშია დამკვიდრებული.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონი მოითხოვს მრავალი სახის ინფორმაციის საჯაროობას, რაც ჩადებულია ევროპული კავშირის სამენარმეო სამართლის დირექტივებში, ევროკავშირის მიერ ამ სფეროში საწყის ეტაპზე შემოღებული მინიმალური სტანდარტები მაინც უფრო ფართოა (საბჭოს პირველი⁶ და მეორე დირექტივები). კანონის შემდგომი დახვეწის მიზნით, ცვლილებები შეეხო გაცხადების ყველა ფორმას, კერძოდ: ფაქტების სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციას (მე-5 მუხლი), რასთანაც ავტომატურადაა დაკავშირებული გაცხადების მეორე ფორმა – ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება, და გაცხადებას საქმიან წერილზე დასატანებელი სავალდებულო მონაცემების სახით (მე-19 მუხლი).

რაც შეეხება რეგისტრაციის ეტაპზე წარსადგენ ინფორმაციას, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ, ევროპული კავშირის მეორე დირექტივის⁷ შესაბამისად, კანონპროექტი აღდგენილ იქნა კანონის ბოლო ცვლილებებით (24.06.05) გაუქმებული მოთხოვნა რეგისტრაციის თაობაზე განცხადებაში საქმიანობის საგნის მითითების შესახებ (მე-5.3.1 მუხლი). მეტიც, საქმიანობის საგანი განისაზღვრა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებების წესდების აუცილებელ რეკვიზიტად. ვფიქრობთ, საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და სამენარმეო რეესტრში საქმიანობის საგნის აუცილებელი წესით დაფიქსირების მნიშვნელობა ისედაც ცხადია და განსაკუთრებულ დასაბუთებას არ საჭიროებს, თუმცა მოკლედ მაინც შევჩერდებით იმ ძირითად მომენტებზე, რის გამოც ეს საკითხი მნიშვნელოვანია:

– ვინაიდან კანონმდებლობა განსაზღვრულ შეზღუდვებს აწესებს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევასთან დაკავშირებით, შესაბამისი იურიდიული პირის რეგისტრაციისას სასამართლო აუცილებლად უნდა ფლობდეს ინფორმაციას მისი მიზნების (საქმიანობის საგნის) შესახებ, რათა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება შერჩეული სამართლებრივი ფორმა იურიდიული პირის მიზნებს;

– საქმიანობის საგნის მითითება მნიშვნელოვანია აგრეთვე იმისათვის, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ რეგისტრაციის განხორციელებისას შეამოწმოს, რამდენად კანონიერია საქმიანობის საგანი; და თუ დაადგენს, რომ იგი უკანონოა, – უარი თქვას რეგისტრაციაზე;

– საქმიანობის საგნის განსაზღვრა წესდებით და ყოველი მისი ცვლილებისათვის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების აუცილებლობა პარტნიორის ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმია. პარტნიორი (და განსაკუთრებით ეს შეეხება სააქციო საზოგადოების აქციონერს), რომელიც იძენს წილს საზოგადოებაში და ამის სანაცვლოდ გადასცემს მას გარკვეულ კაპიტალს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საზოგადოება ამ ქონებას წესდებით განსაზღვრული კონკრეტული საქმიანობისათვის გამოიყენებს. ამდენად, აქციონერის უფლება, რომელმაც სახსრები დააბანდა კონკრეტული ტიპის საქმიანობაში, შეილახება, თუ დირექტორს მიენიჭება უფლება, თავისი შეხედულებისამებრ ცვალოს საზოგადოების საქმიანობის მიმართულებები;

– წინა დებულებიდან გამომდინარეობს დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი. თუ გარე ურთიერთობაში წესდებით დადგენილ შეზღუდვებს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება და

⁶ საბჭოს პირველი დირექტივა 68/151/EEC წევრებისა და სხვათა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კოორდინირების შესახებ, რომელთა განხორციელება მოეთხოვებათ კომპანიებს წევრი სახელმწიფოების მიერ ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 58-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ზომების ეკვივალენტურობა მთელ გაერთიანებაში.

⁷ მეორე დირექტივის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი.

საქმიანობის საგნიდან გადახვევა ზეგავლენას არ ახდენს მესამე პირებთან დადებულ გარიგებებზე, შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში ამას გარკვეული სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. კერძოდ, საზოგადოების პარტნიორები უფლებამოსილი არიან, დააყენონ დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ მან დადო გარიგება, რომელიც წესდებით განსაზღვრულ საგანს სცდება.

მეორე დირექტივის თანახმად, გაფართოვდა სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციისას წარსადგენი დოკუმენტების წრე. კერძოდ, ამ ფორმის საზოგადოებებმა რეგისტრაციისას უნდა წარადგინონ ხელშეკრულებები განსაკუთრებული უფლებების მინიჭების შესახებ, თუ ეს გათვალისწინებულია წესდებით. ეს დებულება მიზნად ისახავს კრედიტორებისა და პარტნიორების დაცვას დაფუძნების პერიოდში მათთვის საზიანო გარიგებებისგან. განსაკუთრებული უფლებები (უპირატესობები) ამ შემთხვევაში გულისხმობს იმ უფლებებს, რომლებიც წევრობიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მის პარალელურად არსებობს და რომელიც პარტნიორს ან მესამე პირს შეიძლება მიენიჭოს. მაგ.: საქონლის შეძენის უფლება, განსაკუთრებით მაღალი გასამრჯელო, ინფორმაციის მიღების განსაკუთრებული უფლება და ა.შ. ასეთი ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია, წესდებაში აღინიშნოს, თუ რა უპირატესობა ენიჭება და ვის.⁸

სს-ს ევალება, აგრეთვე, საზოგადოების დაფუძნებისათვის საჭირო ყველა ხარჯის მიახლოებითი გაანგარიშების წარდგენა. დაფუძნების ხარჯებში იგულისხმება: გადასახადები, ბაჟები (ნოტარიუსი, სასამართლო), კონსულტაციის ჰონორარები, გამოქვეყნების ხარჯები, აქციების დაბეჭდვის ხარჯები და ა.შ. წესდებაში უნდა ჩაინეროს საერთო ხარჯი. თუ იმ მომენტისათვის ცნობილი არ არის ზუსტი თანხის ოდენობა, მაშინ მიეთითება მიახლოებითი ოდენობა, რომელიც რეალურ გათვლებს უნდა ეფუძნებოდეს.

და ბოლოს, ვინაიდან კანონპროექტი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს შპს-ისა და სს-ის დირექტორობის კანდიდატებს (დანვრილებით იხილეთ მე-6 თავი), რეგისტრაციისათვის წარდგენილი უნდა იქნეს დირექტორების განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი აკმაყოფილებენ კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

კანონპროექტით გამოსწორდა მეწარმეთა შესახებ კანონის აქამდე არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზი, კერძოდ, განისაზღვრა წესდების სავალდებულო მინიმალური რეკვიზიტები. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, წესდება არის ის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების პარტნიორთა შორის არსებულ უფლებებსა და მოვალეობებს და ადგენს საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის ძირითად ნორმატიულ ჩარჩოს, დღესდღეობით, წესდების შინაარსთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები განსაზღვრულია მხოლოდ კავშირებისა და ფონდებისათვის სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლით. ამდენად, პრაქტიკაში ხდება სამოქალაქო კოდექსის ნორმების ანალოგიის წესით გამოყენება სამეწარმეო იურიდიული პირების მიმართ, რაც, ბუნებრივია, ვერ იძლევა საკითხის სრულფასოვანი მონესრიგების შესაძლებლობას, მით უმეტეს, სააქციო საზოგადოებების წესდებებთან მიმართებით.

სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სამუშაო ჯგუფის მიერ ევროპული კავშირის მეორე დირექტივის ნორმებზე დაყრდნობით⁹ ჩამოყალიბდა წესდების სავალდებულო შინაარსი, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოპერატივის წესდება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

– საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და მის საფირმო სახელწოდებას (ფირმას);

⁸ მეორე დირექტივის მე-3 მუხლის „კ“ პუნქტი.

⁹ მეორე დირექტივის მე-2 და მე-3 მუხლები.

- ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
- საქმიანობის საგანს;
- სანესდებო კაპიტალის ოდენობას;
- ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობას, შესაბამისად წილს;
- ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ფუნქციით აღჭურვილ ორგანოთა რაოდენობრივ შემადგენლობას;
- საზოგადოების არსებობის ხანგრძლივობას, თუ იგი უვადოდ არ არის შექმნილი;
- ნესდებაზე ხელმომწერი ყოველი ფიზიკური პირის პირად მონაცემებს, ხოლო, თუ ნესდებას ხელი ეწერება იურიდიული პირის სახელით, – მისი რეგისტრაციის მონაცემებს. სააქციო საზოგადოების ნესდება აგრეთვე უნდა შეიცავდეს:
 - ნებადართული კაპიტალის ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - აქციათა ნომინალურ ღირებულებასა და მათ ოდენობას;
 - აქციის გადაცემისათვის საზოგადოების თანხმობის აუცილებლობის შემთხვევაში, თანხმობის გაცემის პირობებს;
 - აქციათა სხვადასხვა კლასის არსებობისას მათ ოდენობასა და გაცემის პირობებს;
 - იმ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, რომლებიც გაცივმა არაფულადი შესატანის სანაცვლოდ, არაფულადი შესატანის საგანსა და შემომტანის მონაცემებს;
 - აღნიშვნას ყველა განსაკუთრებული უფლების შესახებ, რომლებიც ენიჭება საზოგადოების დამფუძნებელში მონაწილე ნებისმიერ პირს;
 - საზოგადოების დამფუძნებლისათვის საჭირო ყველა ხარჯის მიახლოებით გაანგარიშებას. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნესდება ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყაროა პარტნიორთა და კრედიტორთათვის, კანონში მისი სავალდებულო რეკვიზიტების განსაზღვრა პარტნიორთა და კრედიტორთა ინტერესთა დაცვის კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.
- კანონპროექტით უფრო ნათლად ჩამოყალიბდა მოქმედი კანონის მე-5.3 მუხლი, რომლითაც დადგენილია დირექტორებისა და პარტნიორების პასუხისმგებლობა საზოგადოების დამფუძნებლის მიზნით წარდგენილი მონაცემების სიზუსტისათვის. ზუსტად განისაზღვრა პასუხისმგებლობის სახე. გარდა ამისა, კანონპროექტით პასუხისმგებლობა გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევებში.

5. რეგისტრაციის შემდგომი გაცხადება

პროექტით დაზუსტდა და განმტკიცდა საზოგადოების ნესდებაში ცვლილებების რეგისტრაციისა და ყოველი ასეთი ცვლილების შემთხვევაში საზოგადოების განახლებული ნესდების სრული ტექსტის სამენარმეო რეესტრში წარდგენის ვალდებულება. გარდა ამისა, რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების წრეს დაემტა საზოგადოების დაშლის ან ბათილობის, ლიკვიდატორების დანიშვნისა (რაც მოიცავს მათი ვინაობისა და შესაბამისი მონაცემების მითითებას) და ლიკვიდაციის დასრულების ფაქტები.

სს-ისა და შპს-ისათვის, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებებისათვის, განისაზღვრა გაცხადების უფრო მკაცრი სტანდარტები, კერძოდ: მათ დამატებით მოეთხოვათ სამენარმეო რეესტრში წლიური ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის წარდგენა ყოველი სამეურნეო წლისათვის. თუმცა ამ უკანასკნელ ნორმასთან დაკავშირებით აუცილებელია, კანონმდებლობით განისაზღვროს ის ადეკვატური ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ ამ ვალდებულების სათანადო შესრულებას. განსხვავებით რეგისტრაციისათვის სავალდებულო სხვა მონაცემებისაგან, რომელთა

გაცხადებაშიც საზოგადოება თავად არის დაინტერესებული, – ასეთი მონაცემები და დოკუმენტები იურიდიულ ძალას მხოლოდ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ იძენს და საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში უფლებამოსილია დაეყრდნოს მხოლოდ რეგისტრირებულ ფაქტებს, – წლიური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულების ანალოგიურ რეჟიმში მოქცევა შეუძლებელია და, ამდენად, დგება ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სპეციალური სანქციის განსაზღვრის აუცილებლობა. ჩვენი აზრით, ამ საკითხის მოწესრიგების საუკეთესო გზაა, საზოგადოების ხელმძღვანელობაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ, აგრეთვე, მომზადდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

რაც შეეხება გაცხადების მესამე სახეს – საქმიან წერილს, აქაც ჩვენ გაფართოვით იმ მონაცემთა წრე, რომელთა მითითებაც სავალდებულოა საზოგადოების საქმიან წერილზე (ბლანკზე). კერძოდ, კანონის მე-19 მუხლში არსებულ ჩამონათვალს დაემატა საწესდებო კაპიტალის ოდენობის, და თუ იგი სრულად არ არის შეტანილი, დარჩენილი შესატანების ოდენობის, აგრეთვე ლიკვიდაციის პროცესში ყოფნის მითითების ვალდებულება. პროექტით აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა საზოგადოების ვებ-გვერზე (თუ მას ასეთი აქვს) ყველა იმ მონაცემის გამოქვეყნების სავალდებულობა, რომლებიც მიეთითება საქმიან წერილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წლიური ანგარიშგების რეესტრში წარდგენის ვალდებულების დარღვევის მსგავსად, მე-19.2 მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაშიც უნდა დაწესდეს საზოგადოების ხელმძღვანელთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საბჭოს პირველი დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად დაიხვეწა კანონის მე-7 მუხლი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების დოკუმენტაციის იურიდიულ ძალას და ემსახურება მესამე პირთა ინტერესების დაცვას. კერძოდ, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებში ჩადებულია კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესების დამცავი დამატებითი მექანიზმი – საზოგადოება იმ გარიგებასთან დაკავშირებით, რომელიც დაიდო (ფაქტების) რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში, მოკლებულია ამ ფაქტებზე დაყრდნობის შესაძლებლობას მესამე პირის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ მან აღნიშნული ფაქტების შესახებ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. შემოთავაზებული ცვლილებებით, რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ფაქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა რეგისტრირებულ ფაქტებს ენიჭება, თუმცა კეთილსინდისიერ მესამე პირს უფლება აქვს, დაეყრდნოს გამოქვეყნებულ ფაქტებს და ასეთ შემთხვევაში საზოგადოებამ უნდა ამტკიცოს, რომ აღნიშნული პირი იცნობდა რეგისტრირებულ ფაქტებს.

6. მოთხოვნები დირექტორთა მიმართ

მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა მე-9 მუხლმა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმოდგენის თაობაზე. ეს შეეხო როგორც მუხლის ფორმას, – ის შინაარსობრივად რამდენიმე პრიმა მუხლად დაიყო, – ასევე არსს, რომელიც დასავლური გამოცდილების მაგალითზე უფრო მოქნილი, იოლად განსამარტავი და პრაქტიკაზე დაფუძნებული გახდა.

ახალი რედაქციით დაწესდა გარკვეული მოთხოვნები დირექტორის პიროვნების მიმართ. დირექტორი უნდა იყოს სრული ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკური პირი. ის არ შეიძლება იყოს პირი, რომლის წინააღმდეგაც კანონიერ ძალაშია შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე-207-ე მუხლების (შესაბამისად: უკანონო ქმედება, საბუღალტრო წარმოების წესის დარღვევა და განცხადების შეუტანლობა

გაკოტრებისას) საფუძველზე და რომელსაც არ გაქარწყლებია ან არ მოხსნია ნასამართლობა, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს გარკვეული პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობის უფლება, თუ საზოგადოების საქმიანობის საგანი მთლიანად ან ნაწილობრივ ემთხვევა მისთვის აკრძალულ საქმიანობას.

ახსნა სჭირდება იმ ფაქტს, თუ რატომ უნდა აეკრძალოთ დირექტორის თანამდებობის დაკავება მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ უკანონო ქმედება გაკოტრების სფეროში და არა უფრო მძიმე ეკონომიკური ხასიათის დანაშაული, ვთქვათ, ფალსიფიკაცია. საქმე ის არის, რომ გაკოტრების პროცესში ჩადენილი დარღვევის გამო ზიანი ადგებათ არა მარტო პარტნიორებს, რომლებსაც საშუალება აქვთ, აწონ-დანონონ დირექტორის მონაცემები და არ აირჩიონ ადამიანი, რომელსაც არ ენდობიან, არამედ კრედიტორებსა და ფართო საზოგადოებასაც, რომლებსაც ასეთი არჩევანის საშუალება არა აქვთ და კანონისმიერ დაცვას საჭიროებენ. ამასთან, ყველა ეკონომიკური ხასიათის დანაშაულისთვის მსგავსი აკრძალვის შემოღება მნიშვნელოვნად შეამცირებდა დირექტორობის კანდიდატთა რაოდენობას, ხოლო აკრძალვის მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულისათვის შემოღებისას აუცილებლად დაიბადებოდა კითხვები, თუ რატომ არის საზოგადოებისათვის მიუღებელი დირექტორად ფალსიფიკატორი, მაგრამ არა, ვთქვათ, საბუღალტრო წესების დამრღვევი.

ევროპაში ამ საკითხის მიმართ სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს. გერმანიაში დირექტორის თანამდებობის დაკავება მხოლოდ გაკოტრებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისთვის ეკრძალებათ;¹⁰ მეორე მხრივ, ინგლისში, „დირექტორთა დისკვალიფიკაციის კანონის“ შესაბამისად დირექტორებსა და მენეჯერებს შეიძლება საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება რამდენიმე წლით ჩამოერთვათ ისეთი საფუძველით, როგორცაა კორპორაციული კანონმდებლობის სისტემატურად დარღვევა¹¹ ან თაღლითობა¹².

7. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

არათანმიმდევრული განმარტებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების თავიდან ასაცილებლად უფრო ცხადად და დეტალურად ჩამოყალიბდა დებულებები მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარმოდგენის თაობაზე. თუნდაც წესდება, შინაგანანესი ან საზოგადოების ორგანოს გადაწყვეტილება გარკვეულ შეზღუდვებს აწესდებდეს წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, ეს შეზღუდვები ძალაშია მხოლოდ საზოგადოების შიდა ურთიერთობებში, ხოლო მესამე პირთან მიმართებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ორგანოს უფლებამოსილება შეუზღუდავია, გარიგებაზე თანხმობის მისაცემად საჭირო პროცედურული მოთხოვნები კი ითვლება დაკმაყოფილებულად.

მსგავსი ფორმულირება მაქსიმალურად იცავს კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესებს. ამ უკანასკნელს არ უნდა ევალებოდეს, თითოეული ხელშეკრულების დადებამდე დეტალურად შეისწავლოს საზოგადოების დოკუმენტები და ორგანოთა ოქმები იმის დასადგენად, ხომ არ იქნა დარღვეული რაიმე არსებითი თუ პროცედურული მოთხოვნა;

მეორე მხრივ, სხვაგვარად რეგულირდება შემთხვევები, როდესაც გარიგების კონტრაპენტმა ხელშეკრულების დადებისას იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ ქმედება სცილდებოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ორგანოს უფლებამოსილებას, ან, რომ დარღვეული იყო პროცედურული მოთხოვნები. ასეთ გარემოებებში გარიგების

¹⁰ სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის 73-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტი.

¹¹ 1986 წლის კომპანიის დირექტორების დისკვალიფიკაციის კანონის მე-3 მუხლი.

¹² იქვე, მე-4 მუხლი.

დადებიდან 18 თვის განმავლობაში დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ან პარტნიორის მოთხოვნით სასამართლომ ბათილად უნდა ცნოს გარიგება. აქვე უნდა მივუთითოთ, პირველი დირექტივის¹³ და ინგლისში მიმდინარე რეფორმების¹⁴ შესაბამისად, კანონპროექტში გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ ის ფაქტი, რომ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მესამე პირს შეეძლო გაეგო სამენარმეო რეესტრიდან, არ ადასტურებს იმას, მან მართლაც თუ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ.

უფლებამოსილების გადამეტებით გარიგების დადების შემთხვევაშიც კი დირექტორს ეძლევა შესაძლებლობა, გამოასწოროს დარღვევა: დაამტკიცებინოს ის იმ ორგანოს, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა მსგავსი უფლებამოსილება. ინგლისური პრეცედენტული სამართლით¹⁵ აღიარებული მსგავსი ქმედების უპირატესობა ისაა, რომ გარიგების მოწონების შემდეგ აღნიშნული დარღვევების საფუძველზე სარჩელის აღძვრა დაუშვებელია და მისი ბათილად ცნობის საფრთხე უკვე აღარ არსებობს.

კანონპროექტში ადგილი დაეთმო დასავლეთში გავრცელებულ ისეთ მექანიზმსაც, როგორცაა ე.წ. ნაწარმოები სარჩელი (*derivative lawsuit*), რომელიც პარტნიორს აძლევს შესაძლებლობას, სარჩელი შეიტანოს მესამე პირების, ჩვენს შემთხვევაში, ძირითადად, დირექტორების წინააღმდეგ. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ და ინგლისი, საზოგადოების პარტნიორებს საკუთარი უფლებების დაცვის არაერთი, მათ შორის, საბაზრო მექანიზმებიც გააჩნიათ, ამიტომ ნაწარმოები სარჩელის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად მსგავს სარჩელებზე იქ გარკვეული სასამართლო კონტროლი არსებობს¹⁶. ჩვენთან პარტნიორებისთვის სასამართლოსადმი მიმართვის შეზღუდვა, დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მათი ბედის ანაბარა დატოვების ტოლფასი უფროა. სწორედ ამის გათვალისწინებით, ისეთ შემთხვევებში, როგორცაა დირექტორის მიერ კეთილსინდისიერების ვალდებულების, კონკურენციის აკრძალვისა და დაკავშირებულ მხარესთან გარიგების დადების წესის დარღვევა, თითოეულ პარტნიორს ექნება უფლება, მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად.

8. კეთილსინდისიერების ვალდებულება

ცვლილებები შეეხო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა კეთილსინდისიერების ვალდებულების ნაწილსაც. თავდაპირველად სამუშაო ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა, კანონპროექტში ჩამოეყალიბებინა დასავლეთში ფართოდ გავრცელებული ე.წ. ბიზნეს-შეფასების წესი (*business judgement rule*), რომელიც დირექტორებს საზოგადოებისათვის საზიანო გადაწყვეტილებათა მიღების დროს იცავს. საბოლოოდ ამ წესის განსაზღვრა ისევ ქართულ სასამართლოებს მივანდეთ, კეთილსინდისიერების ცნებას კი, ზრუნვისა და საზოგადოების ინტერესებში მოქმედების გარდა, აშშ-ში მიღებული პრაქტიკის მსგავსად¹⁷, გადაწყვეტილების საგნის თაობაზე ინფორმირებულობის ვალდებულება დაემატა.

ჩვენი აზრით, შესწორებას საჭიროებს მენარმეთა შესახებ კანონში 2005 წლის ივნისში შეტანილი დებულება, რომელმაც ქართულ კანონმდებლობაში მეტად საჭირო, ე.წ. „კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა“ შემოიტანა. დასავლურ სამართლებრივ თეორიასა და პრეცედენტულ სამართალში დირექტორისათვის საზოგადოების საქმიან-

¹³ პირველი დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴ *Davies, Gower and Davies' Principles of Modern Company Law*, 146.

¹⁵ *Re Horsley & Weight Ltd* [1982] Ch 442, [1982] 3 All ER 1045 (Court of Appeal).

¹⁶ *Soderquist, Sommer, Chew, Smidly, Corporations and Other Business Organizations*, 4th Ed (1997), 667.

¹⁷ *Smith v Van Gorkom* 488 A. 2d 858 (1985).

ნობასთან დაკავშირებული ინფორმაციის პირადი სარგებლისთვის გამოყენების აკრძალვა კეთილსინდისიერების ვალდებულების შემადგენელი ნაწილია და ის ძალაში მისი თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც რჩება¹⁸. მენარმეთა შესახებ კანონში შეტანილი შესწორებით კი ამ აკრძალვის ძალაში დასარჩენად წესდება ან პარტნიორთა ცალკე ხელშეკრულებაა საჭირო, თანაც იმისათვის, რაც თავისი ბუნებით ისედაც დირექტორის ვალდებულებად ითვლება, შეიძლება კომპენსაცია იყოს გათვალისწინებული.

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ეს დებულება შემდეგნაირად იქნება ჩამოყალიბებული: „(საზოგადოების ხელმძღვანელმა პირმა) პარტნიორთა კრების, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე არ უნდა გამოიყენოს პირადი სარგებლის მისაღებად საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი ფუნქციების შესრულებიდან, თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ან საზოგადოების კუთვნილი ქონებისა თუ ინფორმაციის გამოყენებით, და რომელიც ობიექტური შეხედულებით დააინტერესებდა საზოგადოებას. წინასწარი თანხმობის მიღება არ არის საჭირო, თუ პარტნიორთა კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ამ პირის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ სამი წლის განმავლობაში, ან საზოგადოების ლიკვიდაციამდე“.

9. ხელშეკრულებები დირექტორებთან

უფრო დეტალურად დარეგულირდა საზოგადოების ურთიერთობა დირექტორებთან. დიდი ხნის განმავლობაში მენარმეთა შესახებ კანონში ამ სფეროს ერთი წინადადება ეძღვნებოდა, რომლის თანახმადაც, სამეთვალყურეო საბჭო დირექტორთან ე.წ. „სასამსახურო“ ხელშეკრულებას დებდა. სამსახუროდ, ამ დებულების ეკონომიურობა სასამართლოების ნაწილის მიერ მისი სწორად განმარტების საფუძველი ნამდვილად ვერ გახდა, ამიტომ წლების მანძილზე ხდებოდა არასწორი გადაწყვეტილებების მიღება (ერთ-ერთი სანარმოს გენერალური დირექტორი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე იმ მოტივით, რომ გათავისუფლების დროს ის იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე და, შესაბამისად, მისი გათავისუფლებისას დარღვეულ იქნა შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები).

უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის რიგით მუშაკთან გათანაბრება და მასზე შრომის კანონთა კოდექსის გავრცელება ფართოდ მიღებული დასავლური პრაქტიკის უგულვებელყოფას ნარმოადგენს. დირექტორი არ უთანაბრდება მუშაკს, რადგან ის არ არის დაქირავებული, არამედ თავად დამქირავებელია, რომელიც სხვებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს და საქმიანობაში ფართო თავისუფლება აქვს მინიჭებული. ამ უფლების საკომპენსაციოდ პარტნიორებს ნებისმიერ მომენტში უნდა შეეძლოთ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება.

2005 წლის ივნისში მენარმეთა შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად მასში გაჩნდა ახალი, მე-9.8¹ პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი“. აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, კიდევ უფრო დაგვეკონკრეტებინა ამ ურთიერთობის მოგვარების გზები და ყველა დარჩენილ კითხვაზეც გვეპასუხა.

¹⁸ *Broz v. Cellular Information Systems, Inc.*, 677, A.2d 148 (1996) – აშშ-ში; *Industrial Development Consultants Ltd v. Cooley* (1972) 2 All ER (1972) 1 WLR 443 – ინგლისში; *Canadian Aero Service Ltd v O'Malley* (1973) 40 DLR (3d) 371 – კანადაში.

თუ გერმანიის მაგალითს ავიღებთ, იქ დირექტორთან გაფორმებული სასამსახურო კონტრაქტი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის სპეციალური თავით „მომსახურების კონტრაქტების“ თაობაზე. გერმანიაში კოდექსის სწორედ ეს ნაწილი განსაზღვრავს მსგავსი ხელშეკრულებების დადების ზოგად პირობებს და გარკვეულ მინიმალურ უფლებებს ანიჭებს დირექტორებს (მაგალითად, განსაზღვრავს, თუ რამდენი ხნით ადრე უნდა აცნობო პირს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და რამიზე უფრო შიდად ან ანგარიშს დააქვეყნებ). სამსახურად, ჩვენს სამოქალაქო კოდექსში მომსახურების კონტრაქტზე ან მსგავს ურთიერთობებზე არაფერია ნათქვამი.

მეორე მხრივ, კონკრეტული კანონის მუხლების არქონა არანაირ პრობლემას არ ქმნის იმავე აშშ-სა და ინგლისში, სადაც დირექტორების ურთიერთობას კომპანიასთან მხოლოდ და მხოლოდ საკუთრივ მათი სასამსახურო ხელშეკრულებები აწესრიგებს. ითვლება, რომ დირექტორს რიგით მუშაკზე გაცილებით მეტი ძალა და თავისთვის უკეთეს პირობებზე შეთანხმების შესაძლებლობა აქვს და სახელმწიფოს მხრიდან არანაირ ზედმეტ დაცვას არ საჭიროებს.

კანონპროექტის მიხედვით, პარტნიორთა კრება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან დირექტორი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე, რაც იწვევს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების მოშლასაც. შეთანხმება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ დებულებას, ბათილია. ვინაიდან ჩვენთან დირექტორებს დასავლეთელი კოლეგების მსგავსი ძალაუფლება არ გააჩნიათ, გათვალისწინებულ იქნა მათი დაცვის მექანიზმებიც: თუ ხელშეკრულებით უფრო დიდი ოდენობა არ არის გათვალისწინებული, საზოგადოების მიერ დირექტორთან დადებული ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დირექტორს ეძლევა სამი (თუ ის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა არა უმეტეს ხუთი წლისა) ან ექვსი თვის გასამრჯელო (თუ ის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში).

ევროპული პრაქტიკისა და კანონმდებლობის¹⁹ შესაბამისად, ასევე განისაზღვრა გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც თავის მოვალეობათა განსაკუთრებით უხეში დარღვევებისას დირექტორს კომპენსაცია საერთოდ არ ეკუთვნის. ჩვენს შემთხვევაში ამის მაგალითებია კეთილსინდისიერების მოვალეობების, კონკურენციის აკრძალვის მოთხოვნების დარღვევა, ან დირექტორის წინააღმდეგ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი.

10. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ცალკე მუხლი დაეთმო კანონპროექტში მსოფლიოში კორპორაციული მართვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემის – დაკავშირებულ მხარეებთან დადებული გარიგებების რეგულირებას. ისევე როგორც დასავლეთის ბევრ ქვეყანაში²⁰, ყურადღება გამახვილდა ნებაყოფლობით გამჟღავნებასა და ასეთი გარიგების დადების განსხვავებულ მექანიზმზე. მსგავსი რეჟიმის გავრცელება კი მხოლოდ შპს-სა და სს-ზე მოხდება.

უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებიც გარკვეული გარიგებების დადებისას „დაინტერესებულ პირებად“ შეიძლება ჩაითვალოს. ესენი არიან: საზოგადოების დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან სანესდებო კაპიტალის წილთა 20 პროცენტზე მეტის მფლობელი პარტნიორი. ეს უკანასკნელნი დაინტერესებულ პირებად ჩაითვლებიან, თუ ისინი ან მათი პირველი თუ მეორე რიგის მემკვიდრეები პირდაპირ ან არაპირდაპირ:

¹⁹ სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტი.

²⁰ ინგლისში 1985 წლის კანონი კომპანიათა შესახებ, 317-ე მუხლი.

- წარმოადგენენ გარიგების მეორე მხარეს;
- ფლობენ იმ იურიდიული პირის წილთა 20 ან მეტ პროცენტს, რომელიც წარმოადგენს გარიგების მეორე მხარეს;
- არიან იმ იურიდიული პირის დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომელიც წარმოადგენს გარიგების მეორე მხარეს;
- ასეთად ითვლებიან საზოგადოების წესდების თანახმად;
- რაიმე სარგებელს მიიღებენ გარიგებიდან.

დაინტერესებული პირი ვალდებულია, დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს დაუყოვნებლივ აცნობოს უკვე დადებული, ან მომავალში დასადები გარიგებების თაობაზე, რომლებშიც ის დაინტერესებული პირია, და მისი დაინტერესების ხასიათზე. ასეთი გარიგება წინასწარ უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას, პარტნიორთა კრების მიერ, ამასთან, დაინტერესებულ პირებს ეკრძალებათ ხმის მიცემა საზოგადოების ყველა ორგანოში. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა დაინტერესებული პირია, ან გარიგების ღირებულება აღემატება საზოგადოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების 20 პროცენტს, ან წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, გარიგება უნდა დამტკიცდეს პარტნიორთა საერთო კრების მიერ. პირი, რომელმაც არ განაცხადა გარიგებაში დაინტერესების შესახებ, ვალდებულია, აანაზღაუროს საზოგადოებისთვის ამ გარიგების დადებით მიყენებული ზიანი.

რა შედეგი მოჰყვება იმას, თუ დაკავშირებულ მხარესთან გარიგების დადების წესები არ იქნება დაცული? ჩვენ დავეყრდენით აშშ-ის პრეცედენტულ სამართალს, სადაც კომპანიას შეუძლია, გარიგების გაუქმებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, თუმცა წესის დაუცველობა ავტომატურად არ იწვევს გარიგების ბათილობას: სასამართლოები აფასებენ, რამდენად სამართლიანი იყო გარიგების პირობები და თუ მიიჩნევენ, რომ საზოგადოებას ზიანი არ მიადგა, ის ძალაში რჩება.²¹ კანონპოქტის თანახმად, გარიგების დადებიდან 18 თვის განმავლობაში დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ან პარტნიორის მიერ მიმართვის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, ბათილად ცნოს ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დადებული გარიგება, თუ დამტკიცდება, რომ გარიგების შედეგად საზოგადოებას ზიანი მიადგა, ან დაინტერესების არარსებობისას გარიგება განსხვავებული პირობებით დაიდებოდა.

11. საზოგადოების დაშლა/ბათილობა და ლიკვიდაცია

მეწარმეთა კანონის პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა საზოგადოების არსებობის შეწყვეტის დეტალური მოწესრიგება. კერძოდ, საბჭოს პირველი დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით,²² კანონპროექტში თანმიმდევრულად მოწესრიგდა საზოგადოების არსებობის შეწყვეტის ორი ეტაპი: დაშლა (ბათილობა) და ლიკვიდაცია, რასაც თან სდევს საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება.

რაც შეეხება საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პირველ საფეხურს, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტში ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნა დაშლა და ბათილობა, ნათლად ჩამოყალიბდა ამ ორი სამართლებრივი შედეგის გამომწვევი საფუძვლები და მათთან დაკავშირებული პროცედურული მოთხოვნები.

²¹ *Lewis v. S.L.&E., INC.* 629 F.2d 764 (1980).

²² პირველი დირექტივის III თავი.

კანონპროექტის თანახმად, დაშლის ძირითად საფუძვლებად განისაზღვრა:

- ვადის გასვლა, თუ საზოგადოება გარკვეული ვადით არის შექმნილი;
- კომანდიტურ საზოგადოებაში ყველა პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან, თუ არცერთი პარტნიორი არ იტვირთავს პერსონალურ პასუხისმგებლობას;
- პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საზოგადოების დაშლის შესახებ;
- საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;
- საზოგადოების ქონების სიმცირის გამო გაკოტრების საქმის გახსნაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლა.

საზოგადოების პარტნიორებისა და კონტრაჰენტების ინტერესთა დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონში საზოგადოების ბათილობის საფუძვლებისა და მისი შედეგების მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრა, რაც გამორიცხავს ბათილობის მიმართ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის გავრცელებას. კანონპროექტის თანახმად, საზოგადოების ბათილობა დგება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- წესდებაში მითითებული საზოგადოების საქმიანობის საგანი კანონსაწინააღმდეგოა, ან არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საჯარო წესრიგს;
- წესდებაში მითითებული არ არის საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საქმიანობის საგანი, პარტნიორთა შესატანის ოდენობა ან სანესდებო კაპიტალის ოდენობა;
- შესრულებული არ იქნა სანესდებო კაპიტალის მინიმალური შესატანის რეგისტრაციამდე შეტანის მოთხოვნა;
- საზოგადოების დაფუძნებაში მონაწილე ყველა პარტნიორი ქმედუუნარო იყო.

საზოგადოების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს საკუთარი ინიციატივით ან საზოგადოების პარტნიორის, დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან საგადასახადო ორგანოს განცხადების საფუძველზე. ამასთან, ბათილად ცნობამდე საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოასწოროს ის ხარვეზი, რაც ბათილობის საფუძველს ქმნის. ამისათვის სასამართლომ საზოგადოებას, სულ მცირე, სამი თვის ვადა უნდა მისცეს. ბათილობა გავლენას არ ახდენს საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ნამდვილობაზე. პარტნიორები ვალდებული არიან, შეიტანონ თავიანთი შესატანები, თუ ეს აუცილებელია საზოგადოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

საზოგადოების დაშლა/ბათილობა უნდა დარეგისტრირდეს სამენარმეო რეესტრში. დაშლის რეგისტრაციის ვალდებულება ეკისრებათ საზოგადოების დირექტორებს ან სასამართლოს იმის მიხედვით, თუ რა გახდა დაშლის საფუძველი, ხოლო ბათილობის რეგისტრაციას ყველა შემთხვევაში ახდენს სასამართლო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების დაშლის/ბათილობის შემდგომი საფეხური საზოგადოების ლიკვიდაციის დაწყებაა. გამონაკლისია შემთხვევა, როცა საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების საქმეა გახსნილი.

ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი უცვლელია, თუმცა მის წინანდელ სამენარმეო მიზნებს ცვლის ლიკვიდაციის მიზანი. ამდენად, საზოგადოების ორგანოები (გარდა დირექტორებისა), რომლებიც, კანონპროექტის თანახმად, ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებებს, შეზღუდულნი არიან სწორედ ამ მიზნით.

საზოგადოების ლიკვიდაციას, როგორც წესი, ახორციელებენ საზოგადოების დირექტორები. შესაძლებელია, აგრეთვე, ლიკვიდატორებად დაინიშნონ სხვა პირებიც, თუ ამას ითვალისწინებს საზოგადოების წესდება ან პარტნიორთა გადაწყვეტილება. გარდა ამისა,

კანონპროექტი ითვალისწინებს ლიკვიდატორის სასამართლოს მიერ დანიშვნისა და გამოთხოვის შესაძლებლობას. თუმცა ამისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი. აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს საზოგადოების რომელიმე პარტნიორს, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში – პარტნიორთა 5 პროცენტს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს.

ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს იმავე მოთხოვნებს, რაც წაეყენება საზოგადოების დირექტორს (სრული ქმედუნარიანობა, ნასამართლევათვის თანამდებობის დაკავების შეზღუდვა და სხვ.). კანონპროექტის ამავე ნაწილით რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტებს დაემატა ლიკვიდატორთა ვინაობის რეგისტრაცია.

ზოგადად, ლიკვიდატორთა ვალდებულებაა, დაასრულონ საზოგადოების მიმდინარე საქმეები, შეაგროვონ მოთხოვნები, ფულად აქციონ საზოგადოების დარჩენილი აქტივები და დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები. სხვა მხრივ მათ გააჩნიათ იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც საზოგადოების დირექტორებს – ისინი მართავენ საზოგადოებას საკუთარი პასუხისმგებლობით ლიკვიდაციის მიზნით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტმა დირექტორთა მოვალეობათაგან გაითვალისწინა ლოგიკური გამონაკლისი, რომელიც არ უნდა ვრცელდებოდეს ლიკვიდატორებზე, კერძოდ კონკურენციის შეზღუდვა.

კანონპროექტით გათვალისწინებული სიახლეა აგრეთვე ისიც, რომ გრძელვადიანი ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოება სასამართლოს მიერ შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების ჩატარების ვალდებულებისგან, თუ საზოგადოების მდგომარეობა იმდენად ნათელია, რომ აუდიტის ჩატარება, კრედიტორებისა და პარტნიორების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი არ არის. ეს საზოგადოებას აარიდებს გაუმართლებელ ხარჯებს.

კანონპროექტით აგრეთვე დაზუსტდა კრედიტორთა შეტყობინების პროცედურა. საზოგადოებისათვის ცნობილ კრედიტორებს ეგზავნებათ სპეციალური შეტყობინება, ხოლო უცნობ კრედიტორთათვის კეთდება საჯარო განცხადება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ამასთან, საჯარო განცხადება უნდა გაკეთდეს სამჯერ, სულ მცირე, ერთკვირიანი ინტერვალით.

კანონპროექტის კიდევ ერთი სიახლეა დაშლილი საზოგადოებისათვის არსებობის გაგრძელების შესაძლებლობის მინიჭება. კერძოდ, პარტნიორთა კრებას დამსწრე კაპიტალის 3/4-ის უმრავლესობით შეუძლია, ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს ლიკვიდაციის პროცედურა და მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე იმ პირობით, რომ არ დაწყებულა საზოგადოების ქონების პარტნიორთათვის განაწილების პროცესი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შესაძლებლობის გამოყენება საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა რომელიმე შემდეგი გარემოება:

- საზოგადოების დაშლის საფუძველია ვადის გასვლა ან პარტნიორთა გადაწყვეტილება;
- საზოგადოება დაშლილად გამოცხადდა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გამო, მაგრამ გაკოტრების საქმის წარმოება გადავადდა მოვალის განაცხადის საფუძველზე, ან შეწყდა მოვალის მიერ რეაბილიტაციის გეგმის წარდგენის გამო, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების არსებობის გაგრძელებას;
- საზოგადოება ბათილად გამოცხადდა, მაგრამ საზოგადოებამ შეიტანა ცვლილება წესდებაში, რომლითაც გამოასწორა ხარვეზი და, ამასთან, მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე.

საზოგადოების არსებობის შეწყვეტის ბოლო ეტაპი მისი რეგისტრაციის გაუქმებაა. კანონპროექტის თანახმად, საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდგომ ლიკვიდატორებმა უნდა მიმართონ საგადასახადო ორგანოს ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციის განცხადებით, რის საფუძველზეც საგადასახადო ორგანო აუქმებს რეგისტრაციას. საზოგადოების წიგნები და საბუთები შენახულ უნდა იქნეს ლიკვიდატორის მიერ განსაზღვრულ უსაფრთხო ადგილას რეგისტრაციის გაუქმებიდან ექვსი წლის განმავლობაში

კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ საზოგადოების დირექტორის, პარტნიორის, კრედიტორის, საგადასახადო ორგანოს ან თვით სასამართლოს ინიციატივით შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის მქონე საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობა ლიკვიდაციის პროცედურის გავლის გარეშე, თუ აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას არ გააჩნია ქონება. ამ დებულების მიზანია სამოქალაქო ბრუნვიდან არასიცოცხლისუნარიანი, ანუ მხოლოდ ქაღალდზე არსებული, საზოგადოებების ამოღება.

12. გარდაქმნა

გაცილებით მეტი ყურადღება და ადგილი დაეთმო კანონპროექტში გარდაქმნისა და რეორგანიზაციის სხვადასხვა სახეს, რომლებიც ადრე თითო-ორჯერ აბზაცით რეგულირდებოდა და აურაცხელი „თეთრი ლაქის“ გამო პრაქტიკულ სირთულეებსა და პარტნიორთა უფლებების შელახვის შესაძლებლობას ქმნიდა. ნებისმიერი საზოგადოება შეიძლება გარდაიქმნას სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად პარტნიორთა კრების გადწყვეტილების საფუძველზე. გარდაქმნის დროს მენარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნები შესაბამისი სამართლებრივი ფორმის საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებით გამოიყენება გარდაქმნილი საზოგადოების მიმართ. გარდაქმნის შემდეგ საზოგადოება გააგრძელებს არსებობას ახალი სამართლებრივი ფორმით, ხოლო ყველა უფლება და მოვალეობა, რაც ჰქონდა საზოგადოებას გარდაქმნამდე, გადავა გარდაქმნილ საზოგადოებაზე.

იმისათვის, რომ კრედიტორები არ დაზარალდნენ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები საზოგადოების გარდაქმნის რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში სოლიდარულად მთელი თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა საზოგადოების გარდაქმნამდე.

გადწყვეტილება საზოგადოების გარდაქმნის შესახებ მიიღება პარტნიორთა კრებაზე. სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების გადწყვეტილებას უნდა დაეთანხმოს ყველა პარტნიორი. ლოგიკური მიზეზების გამო, ყველა პარტნიორის თანხმობა არის საჭირო იმ შემთხვევებშიც, როდესაც საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით გარდაიქმნება სოლიდარული პასუხისმგებლობის ან კომანდიტურ საზოგადოებად (რათა პარტნიორები მათივე თანხმობის გარეშე კრედიტორების წინაშე მთელი თავიანთი ქონებით არ აღმოჩნდნენ პასუხისმგებელნი), აგრეთვე, როდესაც შპს ან სს გარდაიქმნება კოოპერატივად. სხვა შემთხვევებში, თუ წესდებით უფრო მკაცრი მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული, გარდაქმნის თაობაზე გადწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა სამ მეოთხედზე მეტის მფლობელ პარტნიორთა თანხმობა. სააქციო საზოგადოებაში სხვადასხვა კლასის აქციების არსებობისას საჭიროა თითოეული კლასის ხმათა 3/4-ის თანხმობა.

საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებმა უნდა მოამზადონ და საერთო კრების მოსაწვევთან ერთად ყველა პარტნიორს დაუგზავნონ წერილობითი

ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება საზოგადოების გარდაქმნის მიზეზები, მიზნები და გარდაქმნასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი ინფორმაცია, დასამტკიცებელი ახალი წესდებითურთ.

საზოგადოების გარდაქმნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით:

– პარტნიორების წილი გარდაქმნილ საზოგადოებაში უნდა იყოს პროპორციული იმ წილისა, რაც მათ ჰქონდათ წინა საზოგადოებაში.

– თუ წინა ფორმის საზოგადოების აქტივები საკმარისი არ არის გარდაქმნილი საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, დარჩენილი ნაწილი უნდა შეავსონ არსებულმა პარტნიორებმა თავიანთი წილის შესაბამისად. პარტნიორებმა შეიძლება ასევე მიიღონ გადაწყვეტილება, რომ დარჩენილ ნაწილს შეავსებენ პირები, რომლებიც არ არიან საზოგადოების ამჟამინდელი პარტნიორები.

გარდაქმნის შესახებ დებულებებიდან ერთ-ერთი ყველაზე სადავო და რთული გამოდგა მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც გამოყენებულ იქნება იმ პარტნიორებისგან წილების გამოსასყიდად, რომელთაც არ სურთ გარდაქმნილი საზოგადოების პარტნიორობა. ასეთ შემთხვევებში, ერთი მხრივ, აუცილებელია პარტნიორთა უფლებების დაცვა, რათა მათ სამართლიანი ფასი მიიღონ კუთვნილ წილებში, მეორე მხრივ კი აუცილებელია საზოგადოების კაპიტალზე ზრუნვა, რომელიც ამ პროცესში გაუმართლებლად დიდი თანხის გახარჯვის შემთხვევაში აუცილებელი სახსრების გარეშე შეიძლება დარჩეს.

პარტნიორებს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ პარტნიორთა კრებაში, და მათ, ვინც კრებაზე ხმა მისცა გარდაქმნის საწინააღმდეგოდ, ეძლევათ კრებიდან 30 დღის ვადა იმისთვის, რათა წერილობით მიმართონ საზოგადოებას მათი წილების გამოსყიდვის მოთხოვნით. საზოგადოებამ წილების საწინააღმდეგოდ უნდა გადაიხადოს ფასი, რომელიც შეესაბამება საზოგადოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში პარტნიორის წილს, ან სააქციო საზოგადოების შემთხვევაში აქციათა საბაზრო ფასს, თუ ის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში პარტნიორის წილის შესაბამის თანხაზე მაღალია.

პარტნიორს, რომელიც არ არის თანახმა თავისი წილის გამოსყიდვაზე საზოგადოების მიერ შეთავაზებული ღირებულებით, საერთო კრების ჩატარებიდან 90 დღის მანძილზე შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი წილის ღირებულების დადგენის მოთხოვნით. თუ სასამართლოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი ექსპერტი დაადგენს, რომ წილის ღირებულება უფრო მაღალია საზოგადოების მიერ შეთავაზებულ ღირებულებაზე, საზოგადოებამ წილები ყველა პარტნიორისგან ასეთი მაღალი ღირებულებით უნდა გამოისყიდოს.

რეესტრში გარდაქმნის დასარეგისტრირებლად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში მე-9.1 მუხლში მითითებულმა პირებმა უნდა წარადგინონ განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ მე-9.1 მუხლში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. წარდგენილ უნდა იქნეს ასევე სხვა დოკუმენტებიც (პარტნიორთა კრების ოქმი, მონაცემები პარტნიორთა ვინაობისა და გარდაქმნილ საზოგადოებაში მათი წილების შესახებ და ა.შ.).

საგადასახადო ორგანო რეგისტრაციაში ატარებს საზოგადოების გარდაქმნას მაშინვე, რაც დაკმაყოფილებული იქნება მოთხოვნები ახალი ფორმის საზოგადოების შექმნისთვის. გარდაქმნა ძალაში შევა რეგისტრაციის მომენტიდან.

13. რეორგანიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტის ერთ-ერთი მთავარი ღირსება გარდაქმნისა და რეორგანიზაციის საკითხების დეტალური მონესრიგებაა. კანონპროექტის ნორმები რეორგანიზაციის შესახებ საბჭოს მესამე²³ და მეექვსე²⁴ დირექტივებზე დაყრდნობით შემუშავდა.

რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კანონპროექტის მიერ შემოთავაზებული, ამომწურავი რეგულირება რამდენიმე ძირითად მიზანს ემსახურება: პირველ რიგში, აუცილებელია, რომ რეორგანიზაციაში მონაწილე საზოგადოების პარტნიორები ადეკვატურად და მაქსიმალურად ობიექტურად იყვნენ ინფორმირებული რეორგანიზაციის პირობების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვა; გარდა ამისა, კანონი უნდა იცავდეს საზოგადოების კრედიტორებს, რათა რეორგანიზაციის პროცესმა ზიანი არ მიაყენოს მათ კანონიერ ინტერესებს; დაბოლოს, რეორგანიზაციაში მონაწილე საზოგადოებებს შორის, მათ და პარტნიორებს შორის და მათ და მესამე პირთა შორის არსებულ ურთიერთობებთან მიმართებით სრული სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნეს შეზღუდული რეორგანიზაციის ბათილობის შესაძლებლობა და, როცა ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს ბათილობის გამომწვევი ხარვეზის გამოსწორება და მკაცრად უნდა შეიზღუდოს ბათილობის შესახებ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

კანონპროექტი აწესრიგებს რეორგანიზაციის სამივე ფორმას – მიერთებას, შერწყმას და გაყოფას. მიერთებისა და შერწყმის დეფინიციების თანახმად, ამ ორი ფორმის გამოყენის მთავარი კრიტერიუმია ის, რომ მიერთების შემთხვევაში ერთი ან მეტი საზოგადოება (მიერთებული საზოგადოება) უერთდება სხვა, უკვე არსებულ, საზოგადოებას (შემძენ საზოგადოებას), ხოლო შერწყმის დროს ორი ან მეტი საზოგადოება (შერწყმული საზოგადოება) ერთიანდება ახალი საზოგადოების დაფუძნების გზით. ორივე შემთხვევაში მიერთებული/შერწყმული საზოგადოებები წყვეტენ არსებობას ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე და მათი მთელი აქტივები და ვალდებულებები გადაეცემა შემძენ/ახლად დაფუძნებულ საზოგადოებას, რის სანაცვლოდაც მიერთებული/შერწყმული საზოგადოებების პარტნიორები მიიღებენ წილებს (აქციებს) შემძენ/ახლად დაფუძნებულ საზოგადოებაში.

რაც შეეხება გაყოფას, კანონპროექტი განასხვავებს გაყოფის სამ ფორმას – გაყოფას ახალი საზოგადოების დაფუძნებით, გაყოფას შეძენით და კომბინირებულ გაყოფას, რომელიც პირველი ორივე ფორმის ელემენტებს შეიცავს.

მიერთების/შერწყმის შემთხვევაში შემძენი საზოგადოება/ახლად დაფუძნებული საზოგადოება პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომლებიც გააჩნდა მიერთებულ/შერწყმულ საზოგადოებას რეორგანიზაციამდე. გაყოფის შემთხვევაში ახლად დაფუძნებული საზოგადოებები/შემძენი საზოგადოებები 2 წლის განმავლობაში სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ჰქონდა გაყოფილ საზოგადოებას გაყოფამდე.

გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის შესახებ იღებს რეორგანიზაციაში მონაწილე ყველა საზოგადოება. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის მქონე საზოგადოებებში გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება ხმების საერთო რაოდენობის სამი მეოთხედით, სხვა შემთხვევებში კი ერთხმად. თუ რეორგანიზაციაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას

²³ საბჭოს მესამე დირექტივა (78/855/EEC), რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე (3) (გ) მუხლს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების შერწყმის შესახებ.

²⁴ საბჭოს მეექვსე დირექტივა (82/891/EEC), რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე (3) (გ) მუხლს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების გაყოფის შესახებ.

გამოშვებული აქვს სხვადასხვა კლასის აქციები, გადანყვეტილებას კენჭი ეყრება აქციათა ყველა კლასის მფლობელთათვის ცალ-ცალკე. თუ რეორგანიზაციის შედეგად მასში მონაწილე რომელიმე საზოგადოების პარტნიორთა ვალდებულებები იზრდება, ამ საზოგადოების პარტნიორთა მიერ გადანყვეტილება რეორგანიზაციის შესახებ მიიღება ერთხმად.

კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა რეორგანიზაციის გეგმა. ეს არის დოკუმენტი, რომელიც სავალდებულო წესით უნდა შეადგინონ რეორგანიზაციაში მონაწილე საზოგადოებებმა და რომელშიც დეტალურად უნდა იქნეს გადმოცემული რეორგანიზაციის პირობები. კერძოდ, რეორგანიზაციის გეგმა უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:

– რეორგანიზაციაში მონაწილე ყველა საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

– რეორგანიზაციის მიზნები, ვადები და პირობები;

– აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება, ხოლო გაყოფის შემთხვევაში, აგრეთვე, მათი განაწილების დეტალური აღწერა;

– წილების (აქციების) გადაცვლის თანაფარდობა და ფულადი ანაზღაურების ოდენობა, თუკი ასეთი გათვალისწინებულია;

– შემქმნ/ახლად დაფუძნებულ საზოგადოებებში წილების (აქციების) გაცემასთან დაკავშირებული პირობები;

– თარიღი, რომლის დადგომიდანაც მითითებული წილები (აქციები) უფლებას ანიჭებს მათ მფლობელებს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მოგებაში; აგრეთვე სპეციალური პირობა, თუკი ასეთი არსებობს, რომელიც ზეგავლენას ახდენს აღნიშნულ უფლებაზე;

– თარიღი, რომლის დადგომიდანაც ადრინდელი საზოგადოების გარიგებები ბუღალტრული მიზნებისათვის ჩაითვლება შემქმნ/ახლად დაფუძნებული საზოგადოების გარიგებებად;

– უფლებები, რომლებსაც შემქმნ/ახლად დაფუძნებული საზოგადოება ანიჭებს ადრინდელი საზოგადოების წილების/ფასიანი ქაღალდების (გარდა ჩვეულებრივი აქციებისა) მფლობელებს და იმ პარტნიორებს, რომელთა წილებს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული;

– რაიმე სპეციალური უპირატესობა, რომელიც ენიჭება რეორგანიზაციაში მონაწილე რომელიმე საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირებს ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს;

– საჭიროების შემთხვევაში ახალი სამეთვალყურეო საბჭო(ებ)ის შემადგენლობა.

თუ რეორგანიზაციაში მონაწილე საზოგადოებათაგან რომელიმე არის სააქციო საზოგადოება, რეორგანიზაციის გეგმა უნდა დამოწმდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ექსპერტის დასკვნაში, სხვა მონაცემებთან ერთად, მოცემული უნდა იყოს ექსპერტის შეფასება იმის თაობაზე, არის თუ არა გეგმით გათვალისწინებული წილების (აქციების) გადაცვლის თანაფარდობა სამართლიანი და მიზანშეწონილი.

სააქციო საზოგადოებებისათვის აგრეთვე სავალდებულოა რეორგანიზაციის ანგარიშის მომზადება, რომელსაც ამზადებენ დირექტორები და რომელიც დეტალურად უნდა განმარტავდეს: რეორგანიზაციის გეგმის დებულებებს, რეორგანიზაციის მიზეზებსა და იურიდიულ თუ ეკონომიკურ საფუძვლებს; და წილების (აქციების) გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მეთოდებს.

პარტნიორთა ინტერესების დაცვის მიზნით, კანონპროექტი, აგრეთვე, დეტალურად ანესრიგებს რეორგანიზაციის შესახებ პარტნიორთა შეტყობინების პროცედურას და უზრუნველყოფს მათთვის ყველა საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კერძოდ, პარტნიორთა შეტყობინება უნდა განხორციელდეს კრების ჩატარებამდე, სულ მცირე, 30 დღით ადრე, ხოლო თუ ერთ-ერთი მხარე სააქციო საზოგადოებაა, რეორგანიზაციის გეგმა აგრეთვე რეგისტრირდება რეესტრში.

რეორგანიზაციის დროს პარტნიორთა ინტერესების დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი, ისევე, როგორც გარდაქმნის შემთხვევაში, მათ მიერ წილის (აქციების) გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებაა. კერძოდ, პარტნიორს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია რეორგანიზაციის საკითხის გადასაწყვეტად მოწვეულ პარტნიორთა კრებაში, გადანყვეტილების შესახებ უნდა აცნობონ კრების გამოცხადების პროცედურის შესაბამისად, კრების ჩატარებიდან 3 დღის ვადაში. ასეთ პარტნიორებს და მათ, ვინც კრებაზე ხმა მისცა რეორგანიზაციის საწინააღმდეგოდ, უნდა მიეცეთ კრებიდან 30 დღის ვადა იმისთვის, რათა წერილობით მიმართონ საზოგადოებას თავიანთი წილების გამოსყიდვის მოთხოვნით. წილების გამოსყიდვის მექანიზმი (ფასის განსაზღვრა, სასამართლოს მიერ სამართლიანი ფასის დადგენა და სხვ.) გარდაქმნის შესახებ ნორმებით დადგენილი მექანიზმის იდენტურია.

რაც შეეხება კრედიტორთა ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კანონპროექტის თანახმად, კრედიტორებს, რომელთა მიმართ საზოგადოების ვალდებულება აღემატება 10 000 ლარის ოდენობას, დაზღვეული წერილით უნდა გაეგზავნოთ შეტყობინება შესაძლო რეორგანიზაციის თაობაზე, სულ მცირე, 45 დღით ადრე კრების ჩატარებამდე.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მიერთებისა და გაყოფის გამარტივებული პროცედურები იმ შემთხვევაში, თუ შემძენი საზოგადოება მიერთებული/გაყოფილი საზოგადოების საწინააღმდეგო კაპიტალის, სულ მცირე, 90 პროცენტს ფლობს. აღნიშნულ შემთხვევაში მიერთების/გაყოფის შესახებ გადანყვეტილება არ საჭიროებს შემძენი საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებას. ხოლო თუ შემძენი საზოგადოება ფლობს მიერთებული საზოგადოების მთელ წილებს (აქციებს), მიერთების გეგმაში არ შეიტანება მონაცემები წილთა (აქციათა) გადაცვლის თაობაზე, არ ტარდება აუდიტორული შემოწმება და მიერთების შესახებ გადანყვეტილება არ საჭიროებს მიერთებული და შემძენი საზოგადოებების პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებას.

აღნიშნულ შემთხვევებში პარტნიორთა ინტერესების ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულოა მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ პარტნიორთათვის შეტყობინება რეორგანიზაციის ძალაში შესვლამდე 30 დღით ადრე და მათთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, შემძენი საზოგადოების პარტნიორ(ებ)ს, რომლის წილი (აქციები) შეადგენს საზოგადოების საწინააღმდეგო კაპიტალის 5 პროცენტს ან მეტს, ხოლო სპს-სა და კს-ში თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს მოითხოვოს პარტნიორთა კრების მოწვევა შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში გადანყვეტილება მიერთების თაობაზე მიიღება პარტნიორთა კრებაზე. შემძენი საზოგადოების პარტნიორს, რომელმაც პარტნიორთა კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადანყვეტილებას მიერთების შესახებ, ან, კრებაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში, გადანყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში წერილობით გამოხატა თავისი უარი მიერთება/გაყოფაზე, უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი წილის (აქციების) გამოსყიდვა, რომელიც ზემოაღნიშნული წესით განხორციელდება.

რეორგანიზაცია ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან. კანონპროექტი დეტალურად განსაზღვრავს რეესტრში წარსადგენი საბუთების ჩამონათვალს.

დაბოლოს, კანონპროექტი ამომწურავად არეგულირებს რეორგანიზაციის ბათილობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. კანონპროექტის თანახმად, რეორგანიზაცია, რომელიც ძალაში შევიდა რეესტრის რეგისტრაციის შემდგომ, შეიძლება გამოცხადდეს ბათილად სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორთა კრების გადანყვეტილება რეორგანიზაციის თაობაზე ბათილია. მიერთებული/შერწყმული/გაყოფილი საზოგადოების პარტნიორს ან კრედიტორს უფლება აქვს, შეიტანოს სარჩელი რეორგანიზაციის ბათილობის შესახებ რეორგანიზაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში. თუ შესაძლებელია იმ ხარვეზის გამოსწორება, რომელიც რეორგანიზაციის ბათილობის საფუძველია, სასამართ-

ლომ 3 თვის ვადა უნდა დაუნესოს საზოგადოებას ხარვეზის გამოსასწორებლად. გადაწყვეტილება რეორგანიზაციის ბათილად გამოცხადების თაობაზე სასამართლოს მიერ ეგზავნება საგადასახადო ორგანოს სამენარმო რეესტრში რეგისტრაციისთვის. სამენარმო რეესტრში საზოგადოების რეორგანიზაციის ბათილად გამოცხადების რეგისტრირება საგადასახადო ორგანოს მიერ ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. რეორგანიზაციის ბათილად გამოცხადება ზეგავლენას არ ახდენს შემძენი/ახლად დაფუძნებული საზოგადოების მიერ ან მის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშვა რეორგანიზაციის ძალაში შესვლიდან ბათილობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციამდე პერიოდში. რეორგანიზაციაში მონაწილე საზოგადოებები სოლიდარულად აგებენ პასუხს 14.6-ე მუხლში მითითებულ შემძენი/ახლად დაფუძნებული საზოგადოების ვალდებულებებზე.

14. ფილიალები

ცვლილებები შეეხო კანონის მე-16 მუხლსაც. დაიხვეწა და დეტალურად დარეგულირდა საზოგადოების ან ინდივიდუალური სანარმოს ფილიალის რეგისტრაციის პროცედურა და ვადები. აღმოიფხვრა კანონის ხარვეზი, რომელიც დაკავშირებული იყო საზღვარგარეთ რეგისტრირებული საზოგადოების ან ინდივიდუალური სანარმოს ფილიალის საქართველოში რეგისტრირებასთან. ამავე დროს, კანონის ეს მუხლი მთლიანად ჰარმონიზებულ იქნა ფილიალების თაობაზე არსებულ ევროპულ დირექტივასთან²⁵.

15. კომერციული წარმომადგენლები

კანონპროექტით დაიხვეწა დებულებები, რომლებიც ეხება სხვადასხვა სახის წარმომადგენლებს. ცვლილებების მიზანია როგორც კანონის შინაარსობრივი, ისე ტერმინოლოგიური დახვეწა. „იურიდიული მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების“ ნაცვლად შემოვიდა ტერმინი „რწმუნებულება“, „დამოუკიდებელი მოვაჭრის“ ნაცვლად – „დისტრიბუტორი“. ვრცლად დარეგულირდა და მთლიანად იქნა ჰარმონიზებული ევროპულ დირექტივასთან დებულებები სავაჭრო წარმომადგენლისა და წარმოდგენილი სანარმოს ურთიერთვალდებულებების შესახებ.

²⁵ საბჭოს მეთერთმეტე დირექტივა 89/666/EEC, რომელიც ეხება ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს იმ ფილიალების მიმართ, რომლებიც წევრ სახელმწიფოში გაიხსნა სხვა ქვეყნის კანონმდებლობით რეგულირებული გარკვეული ტიპის კომპანიების მიერ.